

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით N04-26 11.03.2019 დანართი N1
ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1
ცვლილება N04-189 06.10.2020
ცვლილება N04-33 15.03.2021
ცვლილება N04-164 21.12.2021
ცვლილება N04-45 09.03.2022



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის
უზრუნველყოფის მექანიზმები

ქ. მცხეთა
2019 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა.

1.2 ეს მექანიზმები ვრცელდება, კოლეჯის როგორც ძირითად, ისე დამატებით სასწავლო ფართებზე (დაბა სტეფანწმინდის და დაბა თიანეთის დამატებით სასწავლო ფართებზე).

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი და მექანიზმები

2.1 კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე.

2.2 კოლეჯში სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად.

2.3 კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარეშეფასებას. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვრიფიკაციის ჯგუფის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

2.4 ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და ჯგუფები დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობენ კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/ თანამდებობის პირთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/ დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და მისი გაუმჯობესების მიზნით.

2.5 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებზე რეაგირებას და ამ შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

2.6 მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, მათ დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ეს კი ითვალისწინებს საჭირო პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას.

2.7 მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს ფინანსური და მატერიალური, ადამიანური და საინფორმაციო რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას;

2.8 მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისთვის. ადამიანური რესურსების შეფასების მიზანია მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მოტივაციის გაზრდა. ამისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს მხარი დაუჭიროს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას.

2.9 მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული პროფესიულ სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ).

2.10. მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვისა და პერსონალის მხარდამჭერი სერვისების შემუშავებას, დანერგვას და გაუმჯობესებას, როგორც მატერიალური რესურსების ასევე, ადამიანური რესურსით მხარდაჭერას კონსულტანტების სახით.

2.11 გარე შეფასება გულისმობს ავტორიზაციის პროცესში მიღებულ შეფასებებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ; ასევე, მოწვეული ექსპერტების შეფასებას, შეფასების შედეგებზე რეაგირებას მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენებას, დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას მომდევნო გარე შეფასების უზრუნველყოფის პროცესისათვის მზადებაში.

მუხლი 3. ხარისხის მართვის მენეჯერი

3.1 კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი.

3.2 ხარისხის მართვის მენეჯერი საქმიანობას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების აქტიური ჩართულობით.

მუხლი 4. პროგრამების შეფასება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ეს არის მოდულების, სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა დაწარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიური და ტრანსფერული უნარების გადაცემის სტრუქტურირებულ და დაგეგმილ წყაროს. შესაბამისად, კოლეჯის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების დაწყებამდე,

ხორციელდება ინიციატივების შეფასება, რომლებიც ეხება ახალი პროგრამების დანერგვას და, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ მიმართულებებს.

2. პროგრამების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- პროგრამების დაგეგმვა - ახალი პროგრამების დანერგვის იდეა შეიძლება სხვადასხვა წყაროდან წამოვიდეს. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, საზოგადოების, ან სხვა ინსტიტუტების მოთხოვნის შედეგი. შესაბამისად, ფასდება ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა, მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა. მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებს და სხვა.
- ახალი პროგრამის დამატება/პროექტის შემუშავება - პროგრამული ნაწილის მომზადება, პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა. ფასდება პროგრამის შემუშავების პროცესი კოლეჯის მიერ დადგენილ პროცედურებთან მიმართებით.
- პროგრამებში ცვლილებების შეტანა - ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურებთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები.
- მიმდინარე შეფასება პროგრამის განხორციელების შემდეგ - ყველა პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც არის მოპოვებული, ექვემდებარე შეფასებას, კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანია განხორციელოს ღონისძიებები პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების, სასწავლო პროცესისა და სხვა დამატებითი სტუდენტური სერვისების (მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობისა და სხვა სტუდენტური სერვისების) ხარისხის შესაფასებლად. ასევე, მისი მიზანია იზრუნოს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული ღონის მუდმივ ზრდა-განვითარებაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარება. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი ამოცანებია:

- ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
- ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
- გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
- დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;
- ე) პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმირების ხარისხის შეფასება;
- ვ) პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების / მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების შესაფასებლად გამოიყენება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების

მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლების გამოკითხვა, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება. მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, მუშავდება ანგარიშები, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება - გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია, კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია, ინტერპრეტაციები, დასკვნები და რეკომენდაციები.

5. პროგრამების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება, რისთვისაც კვლევები დროში განმეორებადია და მთელი დროის განმავლობაში გამოყენებულია ერთი და იგივე შერჩევის სტრატეგია. აღნიშნული საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დროში არსებული მსგავსებები, განსხვავებები და ცვლილებები. შესაბამისად, დროში განმეორებადი კვლევა იძლევა სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარებას, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენასა და დასკვნების გაკეთების უნარს, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების პროცესში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ან მისი არარსებობა.
6. ხარისხის მართვის მენეჯერი კვლევის დაგეგმვაში ჩართულ სხვა მხარეებთან ერთად შეისწავლის და განაზოგადებს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის და პროგრამების განხორციელების შეფასების მონაცემებს და შედეგად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი შემდგომი განვითარებისა და უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოიყოფა კომპონენტთა ჯგუფი, რომელთა ხარისხობრივი მაჩვენებლები, გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით, შეიძლება ობიექტურად იქნას შეფასებული და მიზანდასახულად შეცვლილი (მართული). ეს კომპონენტებია:
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
 - სასწავლო მასალები;
 - სწავლების მეთოდები;
 - სასწავლო პროცესის მართვა და მონიტორინგი.
7. ზემოაღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციები შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:

ა) პროგრამის დახურვა/პროგრამის გაუქმება (ამის საფუძველი შესაძლოა იყოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დაბალი მომართვიანობა, რაც პროგრამის რენტაბელობას აყენებს ეჭვქვეშ, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა);
ბ) პროგრამის მნიშვნელოვანი გადამუშავება, რაც იწვევს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას; გ) პროგრამის უმნიშვნელო გადამუშავება დახვეწის მიზნით (სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, თემატიკა, მატერიალური რესურსები); დ) სრული შესაბამისობის დადგენა.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების შეფასება იყენებს სისტემურ მეთოდებს პროგრამების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციისთვის, მისი განხორციელების, შედეგების ან ზემოქმედების გასაგებად.

9. ხარისხის ციკლის ინდიკატორების გათვალისწინებით განხორციელებული პროგრამის შეფასებამ შესაძლოა განაპირობოს პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრისთვის წინადადებების ინიცირებების გზით, რაც ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 5. ვერიფიკაციის პროცესი

5.1 ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება დაწესებულების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, პროფესიული მასწავლებლების დახმარებას, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებას.

5.2 პსდ-ში შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია

5.3 ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ვალიდურობას - ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.

შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- ✓ შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

- ✓ საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში. **სანდოობას** - სანდოა შეფასება თუ:
- ✓ შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- ✓ გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ✓ ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს; □ ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- ✓ საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას

- ✓ ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
- ✓ მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.
- ✓ სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.
- ✓ შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

მუხლი 6. ვერიფიკაციის ჯგუფი

- 6.1 ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის მიზანია გამოცდების ჩატარების ეფექტურობის გაზრდა.
- 6.2 ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობდეს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას.
- 6.3 ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ:
 - დარგის ექსპერტი
 - პროფ. მასწავლებელი

- მოწვეული პირი
- მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი
- პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან
- ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში

6.3 ვერიფიკაციის ჯგუფი იქმნება კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6.4 ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი

7.1 ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს ის პირი, რომელმაც შესაფასებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

მუხლი 8. ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრა

8.1 ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორებად შესაძლოა განისაზღვროს:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- შესაფასებელი პირების დაბალი შეფასებები
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შევსებული კითხვარები;
- სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარები;
- პროფესიული მასწავლებლებისგან მიღებული წერილობითი უკუკავშირები
 □ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ რისკ ფაქტორად მიჩნეული სხვა საკითხი.

8.2 ვერიფიკაციის ჯგუფმა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება უნდა დაიწყოს თავისი გადაწყვეტილებისამებრ, შესაძლოა შეარჩიოს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების დაბალი ან საშუალო რისკების ჯგუფები შესაფასებლად, რომლისთვისაც უნდა გამოიყენოს ცხრილი 1-ში მოცემული სქემა.

ცხრილი 1. გარემოება-რისკ ფაქტორი	რას იწყვეს გარემოებაშესაძლო რისკი	კოეფიციენტი
--	--------------------------------------	-------------

1.	ვერიფიკაციის ჯგუფის მოსაზრებები	გარემოებები დაყოფილია შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად, მათ
2.		მიენიჭებათ ქულები:
3		• დაბალი 1 ქულა,
...		• საშუალო 2 ქულა, • მაღალი 3 ქულა, • კრიტიკული 4 ქულა.

8.3 ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შერჩეული რისკ ფაქტორის შეფასებისათვის გამოიყენება ვერიფიკაციის შემდეგი ინსტრუმენტები: შემოწმებისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა ჯგუფში არსებული სტუდენტების 50%. იმ შემთხვევაში თუ პრობლემატური აღმოჩნდება შესაფასებელი ინსტრუმენტები და გამიკვეთება დარღვევები, შესაძლია საჭირო გახდეს მთელი ჯგუფის ინსტრუმენტების შეამოწმება, რაც თვითონ წყვეტს ვერიფიკაციის ჯგუფი ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 9. ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნის განხილვა

9.1 ვერიფიკაციის განხორციელების დროს ვერიფიკაციის ჯგუფი ავსებს წინამდებარე მარეგულირებელი დოკუმენტის დანართ 1-ად დართულ ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტს.

9.2 ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე სამართლიანი და ობიექტური.

9.3 ვერიფიკაციის დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

9.4 ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტის შემუშავების შემდეგ უნდა მოხდეს დასკვნის განხილვა.

9.5. ვერიფიკაციის დასკვნისა და განხილვის დრო 3 სამუშაო დღე.

მუხლი 10. სამოქმედო გეგმა, მონიტორინგი

10.1 დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მახრეებმა უნდა შეიმუშავონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, შექმნან სამოქმედო გეგმა. თუ საჭიროა უნდა წარადგინონ ინიცირება რეგულაციებშიც ცვლილებების შეტანის შესახებ.

10.2 პსდ-მ ვერიფიკაციის დასკვნისა და დასკვნის განხილვის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს ასახული ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს:

- აქტივობების განხორციელების ვადები,
- შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

10.3 პსდ უფლებამოსილია გადაწყვიტოს აღნიშნული სამოქმედო გეგმა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი თუ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმად ჩამოყალიბდეს კონკრეტული მასწავლებელს ან მოდულისათვის.

10.4 პსდ-მ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი.

10.5 პსდ-მ უკუკავშირისათვის ვერიფიკაციის დასკვნა და სამოქმედო გეგმა უნდა გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს.

10.6 სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მხარეებისათვის გაცნობის დრო 5 სამუშაო დღე.

მუხლი 12 სასწავლო პროცესისა და პროგრამის შეფასების კვლევები

12.1 კოლეჯის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება, გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა; ამასთან კოლეჯის მიზანია შექმნას პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო.

12.2 აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. აღნიშნული უზრუნველყოფს რომ კოლეჯი ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, საჭიროების შემთხვევაში უნდა გადიოდეს პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, უნდა იზიარებდეს საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. კოლეჯი უნდა ახდენდეს პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს.

12.2.1 კოლეჯში, პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ ტარდება კვლევები სხვადასხვა მიმართლებით:

- სტუდენტების დასაქმების კვლევა
- კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა
- დამსაქმებლების კვლევა
- სსსმ პირთა გამოკითხვა კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვა
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი
- პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხო გარემოს მონიტორინგი (წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი)

- ადმინისტრაციის პერსონალის გამოკითხვა
- შეფასების კვლევა მასწავლებლებისთვის
- შეფასების კვლევა სტუდენტებისთვის
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეფასების კითხვარი)

შენიშვნა: წლის განმავლობაში, კოლეჯი უფლებამოსილია ჩაატაროს დამატებითი კვლევა, შემხვედრი საჭიროებებიდან გამომდინარე.

12.2.2. ზემოაღნიშნული კვლევების განსახორციელებლად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებული იყოს კვლევის შემდეგი ტიპი:

- რაოდენობრივი კვლევა;
- თვისებრივი კვლევის მეთოდი;
- შერეული ტიპის კვლევა (რაოდენობრივი და თვისებრივი).

კვლევის მეთოდი - კვლევის მეთოდის შერჩევას განაპირობებს საკვლევი საკითხის სპეციფიკა.

- სატელეფონო ინტერვიუ
- გამოკითხვა / ელექტრონული გამოკითხვა
- ანკეტირება
- პირისპირი ინტერვიუ
- დაკვირვება
- შემთხვევის ანალიზი

კვლევის ინსტრუმენტი-შერჩეული კვლევის მეთოდების შესაბამისად, წინამძღვრიშვილის კოლეჯში კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენება:

- ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (თვისებრივი კვლევისთვის);
- სტრუქტურირებული კითხვარი; • სადისკუსიო გეგმა; • ჩექ ლისტი.

სამიზნე ჯგუფი- თითოეული კვლევის მიხედვით, მისი მიზნებიდან გამომდინარე, დგება სამიზნე ჯგუფი. სამიზნე ჯგუფს შეიძლება წარმოადგენდეს:

- პროფესიული მასწავლებელი;
- პროფესიული სტუდენტი;
- დამსაქმებელი;
- პარტნიორი კომპანია;
- აპლიკანტი;
- პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირი.

შერჩევა - კვლევის პროცესში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, გამოიყენება შერჩევის ორი ტიპი:

- მიზნობრივი შერჩევა;
- არამიზნობრივი შერჩევა.

შედეგების ანალიზი - მიღებული მონაცემების ანალიზისთვის, კვლევის ტიპიდან გამომდინარე, გამოიყენება:

- აღწერითი სტატისტიკა (პროცენტი, სიხშირე, კორელაცია, კროსტაბულაცია)
- მონაცემების ნარატიული ანალიზი

12.2.3 კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ანალიზებს ჩატარებული შეფასებების შედეგების და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

12.2.4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები წელიწადში მინიმუმ ერთხელ ტარდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

- 13.1 წინამდებარე მექანიზმებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 13.2 დანართ 1-ში წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა.
- 13.3 დანართ 2-ში წარმოდგენილია სარეკომენდაციო საკითხები ვერიფიკაციის ჯგუფისაგან შეფასების ინსტრუმენტის შექმნისთვის.
- 13.4 დანართი 3-ით წარმოდგენილია შეფასებისთვის საჭირო კითხვარები

დანართი N1

სსილ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----
შემფასებელი ----- შეფასების პერიოდი
----- ვერიფიკატორი -----
----- ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

ისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულებ ა არას შემთხვევაში	რეკომ ენდაც ია
-------------------	-----------------------	------------	-----------	--------------------------------------	----------------------

ვალიდურობა

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			

სანდოობა

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			

	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			
--	--	---	--	--	--

გამჭვირვალობა

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიუება,	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი			

	სხვა მტკიცებულება	მტკიცებულება			
--	-------------------	--------------	--	--	--

	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			

სამართლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო			
-------------------	---------------------------------	-------------------------------	--	--	--

<p>(პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>საკმარისია</p>			
<p>შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი</p>			
<p>შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა</p>			
<p>შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ</p>	<p>შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა</p>			
<p>შეფასებული პირის ინტერვიუება,</p>	<p>შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით</p>			
<p>შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).</p>				

ობიექტურობა

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

სარეკომენდაციო საკითხები ვერიფიკაციის ჯგუფისაგან შეფასების ინსტრუმენტის შექმნისთვის

- შეფასების ინსტრუმენტში განსაზღვრეთ ადეკვატური დრო
- შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ
- დავალებების შინაარსმა უნდა დაფაროს სრულად სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები
- ტესტს აუცილებლად უნდა ახლდეს დავალებების სწორი პასუხები (ე.წ. ტესტის გასაღები);
- ტესტი უნდა იყოს საშუალო სიძლიერისა, დაავალებების ფორმულირება და პასუხის ვარიანტები არ უნდა იმეორებდეს პასუხს.
- ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას;
- ინსტრუმენტებში მიუთითეთ შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები და აკვირვების ფურცელმა სათანადოდ უნდა დაფაროს პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების ფლობის დონე
- დავალები ცალსახად უნდა დადგინდეს შინაარსის შესაბამისობა მოდულის სწავლის შედეგსა და კრიტერიუმებთან;
- და სხვა

➤

1. სტუდენტთა დასაქმების კითხვარი

ასაკი -----

1. რომელ პროფესიულ პროგრამაზე სწავლობთ?

.....

1. ხართ თუ არა დასაქმებული?

- დიახ, ჩემი პროფესიით
- დიახ, სხვა პროფესიით
- თვითდასაქმებული ჩემი პროფესიით
- თვითდასაქმებული სხვა პროფესიით
- არა
-

2. რომელ სექტორში მუშაობთ ?

- კერძო
- სახელმწიფო
- თვით დასაქმებული

3. დაუსაქმებლობის მიზეზია:

- ოჯახური მდგომარეობა
- ვერ ვშოულობ სამსახურს
- არ მაქვს სათანადო ცოდნა
- სწავლის პერიოდში არ მსურს დასაქმება

4. კოლეჯში სწავლის დაწყებიდან რა ვადაში დასაქმდით?

- დასაქმებული ვიყავი
- ერთი თვე
- ექვსი კვირა
- ერთი წელი

- არ დავსაქმებულვარ

5. თქვენი საშუალო ხელფასი?

- 100 - 300
- 300 - 600
- 600 - 800
- 800 +

6. რომელი კომპონენტი გამოგადგათ მუშაობის დროს?

- თეორიული
- პრაქტიკული
- თეორიული და პრაქტიკული

7. ჩამოთვლილთაგან, რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს კოლეჯი ?

- გუნდური მუშაობა
- ლიდერობა
- კომუნიკაცია

8. გეხმარებათ თუ არა კოლეჯი თქვენი დასაქმების მიმართულებით?

- დიახ
- არა

9. ხართ თუ არა ჩართული კოლეჯში სწავლის პერიოდში სხვადასხვა აქტოვობაში?

- დიახ
- არა
- იშვიათად

10. ამ ეტაპზე, დაინტერესებული ხართ თუ არა დასაქმებით?

- დიახ, დაინტერესებული ვარ მხოლოდ ჩემი პროფესიით
- დიახ, დაინტერესებული ვარ, პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს
- არ ვარ დაინტერესებული

12. თქვენი აზრით რა მიმართულებით უნდა გააძლიეროს კოლეჯმა მუშაობა, რათა სტუდენტებს დასაქმებაში ხელი შეეწყოს?

13. თქვენი აზრით რა არის სტუდენტთა დასაქმების ძირითადი პრობლემა?

2. კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა რომელი პროფესიული პროგრამა დაასრულეთ?

.....

1. კმაყოფილი ხართ თუ არა კოლეჯში მიღებული განათლებით

- ძალიან კმაყოფილი
- მეტწილად კმაყოფილი
- ძალიან უკმაყოფილო

2. შეესაბამება თუ არა კოლეჯში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?

- დიახ
- მეტ-ნაკლებად
- არა

3. კოლეჯში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

- დიახ
- მეტ-ნაკლებად
- არა

4. ეცნობით თუ არა კოლეჯის ვებ - გვერდიდან ინფორმაციას ?

- დიახ
- მეტ-ნაკლებად
- არა

5.საჭიროა თეორიული მეცადინეობების საათების გაზრდა?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ ვეთანხმები

6.საჭიროა პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდა?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ ვეთანხმები

7. პროფესიული მასწავლებელი მზად იყენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის?

- დიახ
- არა
- ზოგიერთი

8. სწავლის პროცესში პროფესიული მასწავლებელი იყენებდნენ (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე)

- თვალსჩინოებებს
- კომპიუტერს
- წიგნში მოცემულ დავალებებს
- არ იყენებს არცერთ მათგანს

9.ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

10.რომელ ღონისძიებაში იყავით ჩართული რომელიც ჩატარდა კოლეჯის ბაზაზე?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე ვარიანტი)

- სპორტული გამჯანსაღებელი
- საახალწლო ღონისძიება
- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში
- ექსკურსია
- სხვა.....

11.კმაყოფილი ვარ კოლეჯის ინფრასტრუქტურით (მაგ. აუდიტორიები, სარეკრეაციო სივრცეები და ა.შ)

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

12. პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართავდი

- დირექტორს;
- ხარისხის მენეჯერს;
- სასწავლო პროცესის მენეჯერს;
- ადმინისტრაციას;
- პროფესიულ მასწავლებელს;
- „არ მივმართავ არავის“, არ ვიც ვის მივმართო
- არ მივმართავ, რადგან არ მაქვს იმედი, რომ პრობლემის აღმოფხვრაში დამეხმარების

13. კოლეჯში მიგიმართავს თუ არა სამედიცინო დახმარებისთვის?

- დიახ
- მე არა მაგრამ ჩემს მეგობარს
- არა მაგრამ ვიცი სადაცაა სამედიცინო ოთახი
- არ გვაქვს კოლეჯში ასეთი სერვისი

14. პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა

- დიახ
- მეტ-ნაკლებად
- არა

15. გაგისაჩივრებიათ თუ არა შედეგი რომელიც არ იყო თქვენი აზრით სამართლიანი

- დიახ
- არა
- არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა

16. დაწერეთ კოლეჯის ძლიერი მხარე

17. დაწერეთ კოლეჯის სუსტი მხარე

18. ხართ თუ არა დასაკმეხული?

- დიახ, ჩემი პროფესიით
- დიახ, სხვა პროფესიით
- თვითდასაკმეხული ჩემი პროფესიით
- თვითდასაკმეხული სხვა პროფესიით
- არა

19.რომელ სექტორში მუშაობთ ? (უპასუხეთ იმ შემთხვევაში, თუ წინა შეკითხვაზე თქვენი პასუხია "დიახ")

- კერძო
- სახელმწიფო
- თვით დასაქმებული

20.დაუსაქმებლობის მიზეზია:

- ოჯახური მდგომარეობა
- ვერ ვშოულობ სამსახურს
- არ მაქვს სათანადო ცოდნა

21.კოლეჯის დამთავრებიდან რა ვადაში დასაქმდით?

- ერთი თვე
- ექვსი კვირა
- ერთი წელი ან დავსაქმებულვარ

22.თქვენი საშუალო ხელფასი?

- 100 - 300 300 - 600
- 600 - 800
- 800 +

23.რომელი კომპონენტი გამოგადგათ მუშაობის დროს? (უპასუხეთ იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯში სწავლის დაწყების შემდგომ დასაქმდით)

- თეორიული
- პრაქტიკული
- თეორიული და პრაქტიკული

24.ჩამოთვლილთაგან, რომელი უნარების განვითარებას შეუწყო ხელი კოლეჯმა ?

- გუნდური მუშაობა
- ლიდერობა
- კომუნიკაცია

25.გეხმარებათ თუ არა კოლეჯი დასაქმების მიმართულებით?

- დიახ
- არა

26. იყავით თუ არა ჩართული კოლეჯში სწავლის პერიოდში სხვადასხვა აქტოვობაში?

- დიახ

- არა
- იშვიათად

27. ამ ეტაპზე, დაინტერესებული ხართ თუ არა დასაქმებით?

- დიახ, დაინტერესებული ვარ მხოლოდ ჩემი პროფესიით
- დიახ, დაინტერესებული ვარ, პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს
- არ ვარ დაინტერესებული

28. თქვენი აზრით რა მიმართულებით უნდა გააძლიეროს კოლეჯმა მუშაობა, რათა კურსდამთავრებულებს დასაქმებაში ხელი შეეწყოს?

29. თქვენი აზრით რა არის კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითადი პრობლემა?

3. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა

1. რამდენად ხშირად დგება თქვენს ორგანიზაციაში/კომპანიაში ახალი თანამშრომლების მიღების საჭიროება?

1. რამოდენიმე წელიწადში ერთხელ
2. წელიწადში ერთხელ
3. წელიწადში რამდენჯერმე
4. ყოველთვის
5. სხვა _____

2. როგორ /რა გზებით ავრცელებთ ინფორმაციას თქვენს ორგანიზაციაში/კომპანიაში არსებული ვაკანსიების შესახებ?(შენიშვნა: დასაშვებია პასუხის რამოდენიმე ვარიანტი)

1. ტელე და ბეჭდური მედიის საშუალებით
2. ინტერნეტის/ვაკანსიების ვებ-გვერდების საშუალებით
3. სოციალური ქსელების მეშვეობით
4. ნაცნობ-მეგობრების დახმარებით
5. პარტნიორი ორგანიზაციები/კომპანიების საშუალებით
5. სხვა _____

3. კადრების შერჩევის რა მეთოდებს იყენებთ?

1. ტესტირება
2. ტესტირება და გასაუბრება
3. მხოლოდ გასაუბრება
4. არაანაზღაურებული სტაჟირება ან გამოსაცდელი ვადა
5. ანაზღაურებული სტაჟირება ან გამოსაცდელი ვადა

4. რამდენად ხშირად მოყვება თქვენს კომპანიაში / ორგანიზაციაში სტაჟირებას დასაქმება (რამდენად ხშირად უფორმდება სამუშაო ხელშეკრულება სტაჟირებაგავლილ კადრს)? ვასაქმებთ ჩვენთან სტაჟირება გავლილი კანდიდატების:

1. არასოდეს
2. იშვიათად
3. ხშირად
4. ძალიან ხშირად

5. როგორია თქვენი საკადრო პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს შეთავაზების მხრივ?

1. გვაქვს ნახევარგანაკვეთიანი შეთავაზებებიც
2. გვაქვს ნახევარგანაკვეთიანი შეთავაზებებიც მოქნილი გრაფიკით
3. გვაქვს მხოლოდ სრული განაკვეთის შეთავაზება (გულისხმობს შეღავათებს ტუდენტებისთვის მხოლოდ გამოცდების პერიოდში)

4. გვაქვს ე.წ. freelance შეთავაზებებიც (ამოცანაზე მორგებული, საოფისე გრაფიკის გარეშე)

6. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორ(ებ)ი, თქვენს ორგანიზაციაში/კომპანიაში კოლეჯის კურსდამთავრებულის მიღებისას? (შენიშვნა: დასაშვებია პასუხისრამოდენიმე ვარიანტი)

1. კოლეჯის იმიჯი
 2. კოლეჯის სპეციალისტ(ებ)ის მომზადების დონე
 3. კოლეჯის თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება
 4. კოლეჯის კარიერული მხარდაჭერის ცენტრის რეკომენდაცია
 5. კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლების რეკომენდაცია
 6. კოლეჯის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის რეკომენდაცია
4. სხვა _____

7. რა სახის პრობლემები შექმნია თქვენს ორგანიზაციას/კომპანიას ახალი თანამშრომლების მოძიებისას? (შენიშვნა: დასაშვებია პასუხის რამოდენიმე ვარიანტი)

1. შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა
 2. კურსდამთავრებულების მხრიდან დასაქმებისთვის არასაკმარისი მზაობა (მაგ: სამსახურის რეჟიმისადმი შეუგუებლობა, სხვა უნარ-ჩვევები, რომლებიც დაკავშირებულია შრომით ურთიერთობებთან და გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობასთან და ა.შ.)
 3. კოლეჯის დასაქმების ცენტრებთან არშემდგარი თანამშრომლობა
 4. რეგიონებში დასაქმებისთვის კურსდამთავრებულების არასაკმარისი მზაობა
 5. კოლეჯის კურსდამთავრებულებთან დაბალი ხელმისაწვდომობა
 6. არ შეგვქმნია არანაირი პრობლემა
7. სხვა _____

8. ზოგადად, თუ შევაფასებთ კოლეჯის კურსდამთავრებულებს, რამდენად კვალიფიციური კადრი მოდის თქვენთან სამუშაოს საძიებლად? გთხოვთ, შეფასება განახორციელოთ 5-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი "1" ნიშნავს - "ძალზე არაკვალიფიციური", ხოლო ციფრი "5" - "ძალზე კვალიფიციური"

1. ქულა (ჩაწერეთ) _____
2. არ დაგვისაქმებია

9. გთხოვთ დაასახელოთ მაქსიმუმ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი პირი (მაგ: კოლეჯის კურსდამთავრებული), თქვენთან რომ დასაქმდეს...

1. პრაქტიკული ცოდნა
2. თეორიული ცოდნა
3. გუნდური მუშაობის უნარი
4. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

5. პრეზენტაციული პროგრამა
6. უცხო ენის/ენების ცოდნა
7. ანალიტიკური აზროვნება
8. შემოქმედებითობა
9. გადაწყვეტილებების მიღების უნარი

